ПРОЛЕТАРЕБО ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 289 (18531) | პარასკევი, 17 დეკემბერი, 1982 წელი | ფასი 3 კაპ.

ს. კილაძის ფოტოსურათი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მორიგ სხდომაზე მოისმინა ინფორმაცია ევროპაში ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის თაობაზე საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკების, აგრეთვე სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვისა და შემცირების თაობაზე საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკების მიმდინარეობის შესახებ.

ფინეთში ოფიციალური ვიზიტის შედეგების შესახებ და ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტთან მ. კოივისტოსთან, ფინეთის სხვა ხელმძღვანელებთან შეხვედრების შესახებ სხდომას მოახსენა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ტიხონოვმა. პოლიტბიუროს მოიწონა მოლაპარაკების შედეგები და კმაყოფილებით აღნიშნა, რომ იგი მიმდინარეობდა მეგობრობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში, რაც ახასიათებს სსრ კავშირისა და ფინეთის ურთიერთობას.

სახალხო-სამეურნეო საკითხთა შორის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს განიხილა წინადადებანი მოქალაქეთა საკუთარი მსუბუქი ავტომობილების ტექნიკური მომსახურების საწარმოთა ქსელის შემდგომი განვითარებისა და მათი სათადარიგო ნაწილების საწარმოო სიმძლავრეების გაზრდის ღონისძიებათა შესახებ.

შესაბამისი დავალებები მიეცათ სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის სამინისტროს, მთელ რიგ სხვა სამინისტროებს 1983-1987 წლებში განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი ამ საკითხების გადასაწყვეტად.

შრომით ვადიდოთ სამშობლო!

ასე ხვდებიან რესპუბლიკის მშრომელები კომუნისტურ შაბათობას

საბჭოთა საქართველოს მშრომელები ფართოდ გამოეხმაურნენ მოსკოველთა თაოსნობას 18 დეკემბერს სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის აღსანიშნავი შაბათობის მოწყობის თაობაზე. კომუნისტური შაბათობისათვის მზადება რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში, სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ამ პატრიოტული წამოწყების პირველი დღეებიდანვე გაჩაღდა.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში სახალხო მეურნეობის ყველა დარგის საწარმოთა კოლექტივებიდან უწყვეტ ნაკადად შემოდიოდა ინფორმაციები იმის შესახებ, თუ როგორ აპირებენ ისინი მიიღონ „წიაღილ შაბათობაზე“ შრომის უმაღლეს ნაყოფიერებას. შრომითი კოლექტივების აბსოლუტური უმრავლესობა ხვალ დაზოგილი ნედლეულით, მასალებით, სათბობით, ელექტროენერგიით იმუშავებს და მხოლოდ მაღალი ხარისხის პროდუქციას გამოუშვებს. გადაზიდავს ზეგეგმიოს ტვირთს, წაიყვანს მძიმეწონიან მატარებელს, წესრიგში მოიყვანს სამუშაო ადგილს, საწარმოსთან მისასვლელ გზებს, ტერიტორიას და სხვ.

მაუ ასე, ხმალ ზარომის დიდი დღესასწაულია, ყველანი შაბათობაზე ამხანაგებო!

ქვემოთ გთავაზობთ ზოგიერთი ორგანიზაციებიდან მიღებულ ინფორმაციებს შაბათობისათვის მზადყოფნასთან დაკავშირებით.

დაზოგილი მასალებით

თბილისი. სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაში შაბათობაზე გამოვა 1675 კაცი. შრომის ზეიმის მონაწილეთა ახსოლუტური უმეტესობა პროდუქციის შექმნაზე დასაქმდება, დანარჩენები კი ქარხნის ტერიტორიასა და მის მისადგომებს მოაწესრიგებენ. გამომუშავებული იქნება 50 ათასი მანეთი, რომლიდანაც 2500 მანეთი ხუთწლედის ფონდში გადაირიცხება. გეგმის გადამეტებით შეკეთდება ერთი სამგზავრო ვაგონი დამზადდება ტორნით ნაკეთი დეტალი, შეგრავდება დიდძალი ჯართი. პროდუქციის გარკვეული ნაწილი დაზოგილი მასალებითა და ელექტროენერგიით დამზადდება.

ამ საწარმოს მალე 100 წელი შეუსრულდება. ამ თარიღისათვისაც, რა თქმა უნდა, საგულდაგულოდ ემზადებიან. სოციალისტურ შეჯიბრებაში, როგორც ყოველთვის, წინა ხაზზეა სახელმოხვეჭილი მკვედელი, სოციალისტური შრომის გმირი კონსტანტინე ილურიძე. მან გადაწყვიტა ორი წლის საწარმოო დავალება „წითელი შაბათობისათვის“ შეასრულოს. მის მხარდამხარ იბრძვის ახალი წარმატებების მოსაპოვებლად ნოვატორი ხარატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, რესპუბლიკის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გიგი გიჩეჩილაძე. მოწინავეთ ხარატს გვერდს უმშენებს მისი შვილი უმაღლესი თანრიგის ხარატი, ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატი მერაბი. ეს ახალგაზრდა ნორმებს ორმაგად ასრულებს.

მ. ტალახაძე,
თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე.

ფალარეელები მზად არიან

ჭიათურა. (საკ. კორ.). შაბათობის მომწყობ შტაბებს მაღაროსამმართველოების პარტიული კომიტეტები ხელძღვანელობენ. კონკრეტულად შემუშავებულ გეგმაში ყველაფერი ზუსტად არის გათვალისწინებული და განგარიშებული.

— შაბათობის დღეს ჩვენთან პროდუქციის შექმნაზე 1200 კაცი იმუშავებს, — ამბობს დიმიტროვის სახელობის მაღაროსამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილე გ. სხირტლაძე. ისინი დამზადებენ 1700 ტონა ძახვახუშის სასაქონლო კონცენტრატს. 250 მუშა-ფოსამსახურე მაღაროს ტერიტორიის კეთილმოწყობაზე დასაქმდება, ზოგიც შავი ლითონების ჯართს შეაგროვებს. ნავარაუდევი გვაქვს გამომუშავებული თანხა 5000 მანეთის ოდენობით მოლიანად ხუთწლედის ფონდში გადაერიცხოთ.

— არც ჩვენ ჩამოვრჩებით დიმიტროველებს, — გვეუბნება ზ. პატარიძის სახელობის მაღაროთასამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი პ. კაპანაძე,—მთელი მონდომებით ვიშრომებთ და მეტალურგიულ გიგანტებისათვის დავამზადებთ 1200 ტონაზე მეტ კონცენტრატს. ხოლო გამომუშავებულ თანხას — 4500 მანეთის ოდენობით ხუთწლედის ფონდში გადავრიცხავთ.

ო. ნიჟაბაძე.

მაღალოდ უმაღლესი კატეგორიის

ცხინვალი. (საკ. კორ.). 18 დეკემბერს კომუნისტური შაბათობის მოწყობის თაობაზე მოსკოველთა თაოსნობის პასუხად ცხინვალის მექანიკური ქარხნის კოლექტივი საგულდაგულოდ მოემზადა. დღეს ამ წლიურ გეგმას შეასრულებენ და დეკემბრის დამლევამდე გეგმის გადამეტებით 20 კოჭურა ამწის კაბინებს- დამზადებენ.

— ყოველდღიურად ჩვენ 13 ათასი მანეთის პროდუქციას ვუშვებთ. მაგრამ შაბათობას ამ მაჩვენებელს 3 ათასი მანეთით მაინც გადავაჭარბებთ, — გვითხრა ქარხნის დირექტორმა ბ. კაბისოვმა. გარდა ამისა ნაკეთობათა დიდ ნაწილს დაზოგილი ნედლეულით და მასალებით დავამზადებთ. მთელი გამომშვებული პროდუქცია შობმხარებელს მხოლოდ საველმწიფო ხარისხის ნიშნით გაეგზავნება.

გ. თედეევი.

ერთი კვირის დღიური

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, ნოემბრის და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმების გადაწყვეტილებათა ვიოლენტური

!

საქართველოს დღეები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე

ქმობისა და მეგობრობის დაუვიწყარი დღეები



— **კარგი** იქნებოდა, ამ ჯადოსნური ბადის ნაქერი რომ მოგვეცა, ვუჩვენებდით სპეციალისტებს და მივაფენედით, რომ დაეწყოთ მისი წარმოება...

სამხრეთ უკრაინელმა წარჩინებულმა მევენახემ ვასილ ტერეშენკომ ასეთი თხოვნით მიმართა ქვეყნის მთავარ გამოფენაზე საქართველოს საიუბილეო ექსპოზიციის მასპინძლებს.

საიდუმლო კი აქ არაფერია: ქართველი მეცნიერების მიერ შექმნილი სუტყვასწინააღმდეგო ბადე საიმედოდ იცავს ვენახებს. მაგრამ საქმე ის არის, რომ იგი ჯერ ცოტაა, ჩვენი რესპუბლიკის საქონელებისთვისაც კი არ კმარა. დასკვნა ერთია — მრეწველობამ უნდა იჩქაროს და მასობრივად აწარმოოს იგი...

ჩვენს საიუბილეო ექსპოზიციაზე ბევრია ამგვარი ექსპონატები, რომლებიც სპეციალისტებია, მეურნეების დიდ ინტერესს იწვევს. ერთ-ერთი მათგანია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ახალი ავტომატარებელი, რომელსაც ქუთაისელი ავტომშენებლები ითვისებენ კოლეგებთან — მოსკოველ, გორკის, ქალაქ ბრეინეველ სპეციალისტებთან ერთად. — ჩინებული მანქანაა, — თქვა მოსკოველ ოლქის საბჭოთა მეურნრეობა „ვოსხოდის“ მძღოლმა ვლადიმერ ივანიკოვმა. გამოცდილმა მძღოლმა ღირსეულად შეაფასა მანქანა, როცა დათვალიერა მისი მოდელი და გაეცნო ტექნიკურ მახასიათებლებს. — კარგი იქნება, მეტი რომ გვქონდეს ასეთი სტაციონარული მანქანები, თანაც რაც შეიძლება მალე...

— ჩვენ ისედაც ვიჭარობთ, — ჩაერია საუბარში ჩვენი რესპუბლიკის დელეგაციის ერთ-ერთი წევრი. ქუთაისის საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარემ გ. აბზიანიძემ იცის, რასაც ამბობს, — ქუთაისის ავტოქარხნის ახალი მანქანის გამოშვება ხომ ქვეყნის სასურსათო პროგრამით არის გათვალისწინებული. სწორედ რამდენიმე დღეში, სსრ კავშირის იუბილეს წინ, ავტოქარხანაში ამოქმედდება წელიწადში რამდენიმე ათასი ძროვის საწარმოო ხაზი. ახალი სატვირთო მანქანის დიზელის „გულის“ გამოშვების მოგვარებით მნიშვნელოვნად მოვაახლოებთ თვით ავტომატარებლის სერიული წარმოების ვადას. სწორედ ამ მიზნით ხოტაელდება საწარმოს რეკონსტრუქციაც.

ექსპოზიციის პრეზიდენტ ი. ბ. ცნობა: ბოლო ათწლეულში საქართველოში აშენდა და განახლდა 500-ზე მეტი სამრეწველო საწარმო. ამან საშუალება მოგვცა მარტო ბოლო ხუთ წელიწადში 41 პროცენტით გაგვეზარდა სამრეწველო პროდუქციის მოცულობა, დაგვიწყო 300-ზე მეტი ახალი ნაწარმის გამოშვება.

„სასურსათო პროგრამა საყოველთაო-სახალხო საქმეა“, — საიუბილეო ექსპოზიციის ეს განყოფილება ყველაზე კრცელია. ნარინჯისფერი ციტრუსები, ყურძნის მტევნები — მადლიანი ქართული მიწის! აქ წარმოდგენილი ბარაქა — ადამტრეს, რომ ეს პროგრამა ცოცხლობს, მუშაობს, მოქმედებს.

ექსპოზიციის პრეზიდენტის ცნობა: ბოლო ათწლეულში საქართველოს მეცნიერებმა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დანერგეს ორასზე მეტი უახლესი ნამუშევარი, რომელთა ეკონომიკურმა ეფექტმა 210 მილიონი მანეთი შეადგინა.

ჩვენს რესპუბლიკაში მომზადარ სოციალურ გარდაქმნებზე, მცხოვრებთა კეთილდღეობის გაუუქმებესებაზე, დედათა და ბავშვთა დაცვაზე მოგვითხრობს ექსპოზიციის განყოფილება „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!“

ექსპოზიციის პრეზიდენტის ცნობა: ბოლო ათწლეულში თითქმის გაორკეცდა დახმარება და შეღავათები, რომლებიც რესპუბლიკის მოსახლეობამ მიიღო მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან.

ექსპოზიციის პრეზიდენტის ცნობა: ახლა საქართველოში 31 პროფესიული თეატრი, ორი ათასზე მეტი კინოთეატრი, ოთხი ათასზე მეტი ბიბლიოთეკა, 136 მუზეუმია. რესპუბლიკაში გამოცემული წიგნების საერთო ტირაჟი 17 მილიონს აღემატება.

...და კიდევ ერთი ციფრი: — 350 ათასზე მეტმა მოსკოველმა და დედაქალაქის სტუმარმა უკვე დათვალიერეს საქართველოს სსრ რესპუბლიკის საიუბილეო გამოფენა ქვეყნის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე.

ე. გასპაროვი,
ა. შარშენოვი,
(საკინფორმის სპეც. კორ.).

● ●

სურათებზე: დელეგაციის წევრები ვ. ი. ლენინის ცენტრალურ მუზეუმში (ზემოთ): ხატვა-რად ბენეფეულის საწარმოო გაერთიანება „ტრუდში“; (წინა პლანზე) ვინო ბ. ერშოვა, ლენინური პრემიის ლაურეატი, პროფესორი ხ. ხეჩინაშვილი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ვ. ოკუჯავა.

(ბ. ედელშტეინის და ო. თურქიას ფოტო (საკინფორმის ტელეფოტო).

ეპოქის შესაგყვისი ბედი

თხუთმეტი წითელი მიხაკი — ჩვენი ქვეყნის თხუთმეტი მოკავშირე რესპუბლიკის სიმბოლო — მიაროვეს საქართველოს სს რესპუბლიკის დელეგაციას, რომელიც მ. ი. კალინინის შრომის წითელი დროშის ორდენოსან სახელმწიფო მუზეუმს ეწვია. რესპუბლიკას წარმომადგენლები მოვიდნენ აქ, რათა დიდი სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობა გამოეხატათ ადამიანისადმი, რომლის ბედი ეპოქის ბედს ეხმიანება, რომლის მჩქეფარე ცხოვრება და ნაყოფიერი საქმიანობა ხალხისადმი თავდადებული სამსახურის, სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულების მკაფიო მაგალითია.

სრულიად საკავშირო მამასახლისის ცხოვრება და მოღვაწეობა მეგიდოდ იყო დაკავშირებული საბჭოთის ყველა რესპუბლიკასთან. ისინი დაუკავშირდა საქართველოს ახალგაზრდა რესპუბლიკას, მისი ძველი დედაქალაქის ბიოგრაფიასაც.

„როცა ამ შავბნელ დროს ჩემდაუნებურად თბილისში აღმოვჩნდი, — ამბობდა მიხეილ ივანეს ძე კალინინი, როცა თავისი გადასახლების წლებს იხსენებდა, — მაშინვე ვიგრძენი, რომ მშობლიურ გარემოში მოვხვდი. ნათესაობის ეს შეგრძნება მთელი სიცოცხლის მანძილზე გამყვა“. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილმა მოღვაწემ ეს სიტყვები წარმოთქვა 1940 წლის ივნისში მიტინგზე, რომელიც თბილისის ორთქლმავალგაგონშემკეთებელ ქარხანაში გაიმართა. აქ, ყოფილ მთავარ რკინიგზის სახელოსნოებში, სადაც საუკუნის დამდეგს მუშაობდა და რევოლუციურ მოღვაწეობას განაგრძობდა მ. ი. კალინინი, წმინდად იცავენ მის ხსოვნას. ჩარხი, რომელზეც მ. ი. კალინინი მუშაობდა, თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი დიდების მუზეუმის მთავარი ექსპონატია.

მიხეილ ივანეს ძე არაერთხელ ყოფილა საქართველოში, მუდამ აინტერესებდა რესპუბლიკის საქმეები. იგი აქ ჩამოდიოდა ხოლმე სასახარულო, შთამბეჭდავი ამბების გამო, რომლებიც საეტაპო ხდებოდა არა მარტო ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის, არამედ მთელი ქვეყნის ბედშიც. ასე იყო, მაგალითად, 1927 წელს, როცა იგი დაესწრო ამიერკავკასიის ჰიდროენერგეტიკის პირველ — ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის ამუშავებას, სადგურისა, რომელიც გოელროს ლენინური გეგმით აშენდა.

...სიმები ჩვენ ვართ ყველაფ

„ხმამ სტუმარი სასურველი, მასპინძელი მხიარული“ — დიდი რუსთაველის ამ სიტყვების ჭეშმარიტება ერთხელ კიდევ დადასტურა შეხვედრამ, რომელიც საქართველოს კულტურის მოღვაწეებს — ჩვენი რესპუბლიკის დელეგაციის წევრებს გუშმორთეს მოსკოველმა პოეტებმა და პროზაიკოსებმა, დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა ლიტერატორთა ცენტრალურ სახლში. იმის, რომ ქართულ თაეისთავად ერთგულ კულტურასთან ყოველ შეხვედრას მოუთმენლად მოელიან მოსკოველები, ნათლად მოწმობდა ხალხით გაჩენილი დარბაზი.

მხატვრული მსოფლშეგრძნების ერთიანობის სულისკვეთებით იყო განმსჭვალული ეს საღამო.

— ლიტერატურა, — თქვა სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა მწერალმა ჯაბა ამირეჯიბმა, — უნდა სჭედდეს მახვილს, რომელიც ჰუმანიზმს იცავს.

ეს მახვილი მუდამ შემართული უნდა გვქონდეს, რათა ვებრძოდეთ ბოროტებას, აღვაკვლიოთ უსამართლობას. ქართული ლიტერატურა მუდამ იყო და არის ჰუმანიზმისათვის ბრძოლის მოწინავე მასტიონი.

ცნობილმა საბჭოთა პოეტმა ევგენი ევტუშენკომ თქვა, თუ რაოდენ ნდად შემოქმედების სიხარულს ანიჭებს მას ქართული პოეზიის თარგმნა რუსი მკითხველისათვის, როგორ ამდიდრებს ეს პროცესი მის პოეტურ სამყაროს.

— ეროვნული ლიტერატურების ორმხრივმა კავშირმა, უფრთიერთგაგებულმა, ერთიერთის გამდიდრებამ განაპირობა მათი სიერთო მიღწევები, — აღნიშნა აფხაზმა მწერალმა გიორგი გულიამ მან გაიხსენა თავისი შეხვედრები გალაკტიონთან, მიხეილ ჯავახიშვილთან, ტიციან ტაბიძესთან სხვა ქართველ პოეტებთან და მწერლებთან, თქვა, რომ ეს უბადლო მხატვრული სატყვის ოსტატები მტკიცე პატრიოტი ინტერნაციონალისტები იყვნენ და ბევრი რამ იფიზეს აფხაზური ლიტერატურის განვითარებისათვის.

სიტყვა ზმობლიერ თეატრზე წარმოთქვა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა რამაზ ჩხიკვაძემ.

საღამოზე ელერდა ქართველ პოეტთა ლექსები, მათი თარგმანები, რომლებიც მოსკოველმა თანამოკალმეებმა შეასრულეს. პოეტური სტრიქონები ეროვნული მზიური საქართველოს სიმღერებსა და ცეკვებს რესპუბლიკის მხატვრული ანსამბლების შესრულებით.

• • •

ამავე დღეს სსრ კავშირის მხატვართა კავშირის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა ქართველ ფერმწერთა ნაშუშევრების ექსპოზიცია, რომელიც დაუკავშირდა ჩვენი რესპუბლიკის დღეებს ქვეყნის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე. აქ წარმოდგენილია ოდიო გუდიაშვილის, ელენე ახვლედიანის, სერგო ქობულაძის დავით კაკაბაძის, სხვა ცნობილი მხატვრების ასამდე ნაწარმოები.

ვერნისაჟზე, რომელიც სსრ კავშირის მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ნ. ა. პოსპიროვოვმა გახსნა, გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნ. ზ. ჯობავრიძე.

გამოფენის გახსნას დაესწრო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ე. ჩერქეზი.

ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲘᲒᲔᲒᲛᲔᲑᲐ

საბელმწიფოს სახალხო-სამეურნეო კომპლექსის დაგეგმვისა და მართვის სრულყოფა თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. სწორედ ეს ითქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმზე, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის მიერ პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში.

ინიციატივათაობა, თაოსნობა, კომერციული ანგარიში — აი რა უნდა განსაზღვრავდეს დღეს მგეგმავთა მუშაობის სტილს. ამ აზრმა მისცა ტონი ქვეყნის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე ჩვენი რესპუბლიკის დღეების მონაწილე საქართველოს სსრ დელეგაციის წევრების შეხვედრას სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის პასუხისმგებელ მუშაკებთან.

შეხვედრა გახსნა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ პ. ა. პასკარმა.

დიდია საქართველოს სს რესპუბლიკის წვლილი ქვეყნის ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსში, ხაზგასმით აღნიშნა პ. ა. პასკარმა. ამას დამაჯერებლად მოწმობს ციფრები და ფაქტები.

ეს ფაქტები მოიყვანა თავის გამოსვლაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ ზ. ა. ჩხეიძემ.

მომავალი დღეს იგეგმება. სწორედ დღეს ეკრება საფუძველი ხვალინდელ მიღწევებს. ღონდ სიმბოლური იყო სამახსოვრო საჩუქარი, რომელიც საქართველოს დელეგაციის წევრებმა მიართვეს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის კოლეგიას — ეს არის სახელო ფრთოსანი ეფსპრესის „ალეფბეთის“ მოდელი.

შეხვედრას ესწრებოდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ნ. კ. ბაიბაკოვი (საქინფორმი).

ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲘᲒᲔᲒᲛᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ — ᲝᲠᲒᲐᲜ ᲪᲙ ᲙᲞ ᲒᲠᲣᲖᲘᲜᲘᲡ, ᲕᲔᲠᲮᲝᲕᲜᲘᲡ ᲡᲝᲕᲭᲝᲡᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

№ 289 (18531) | პარასკევი, 17 დეკემბერი, 1982 წელი | ფასი 3 კაპ.

ᲣᲮᲐᲪᲙᲔᲑᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

დაწინაურდნენ:

თბილისის „ელექტროაპარატის“ საწარმოო გაერთიანების კოლექტივმა (გენერალური დირექტორი — ა. ხუროძე) მნიშვნელოვნად გაუსწრო გრაფიკს. დეკემბრის 13 დღეში ელექტროკისებმა გეგმის გადამეტებით 120 ათასი მანეთის პროდუქცია დაამზადეს. მოსმობარებელს ვადამდე გეგზავნა დიდი რაოდენობის ელექტრომამოშავებელი, ელექტროავტომატი, სასიგნალო არმატურა, ფართო მოხმარების საქონელი.

* * *

ამიერკავკასიის „ტრანსმუშეის“ ტრასტის № 181 საამშენებლო სამმართველოს (უფროსი — გ. ფავორენკო) კოლექტივმა უკვე შეასრულა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების წლიური გეგმა. შრომის ნაყოფიერება დაფალებასთან შედარებით 7,5 პროცენტით გაიზარდა, დაიზოგა 1,5-ჯერ მეტი ცემენტი და მერქანი, ვიდრე სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის იყო ნაკისრი.

ჩამორჩენენ:

ქარხანა „ფოთელექტროაპარატის“ მეშრეველებმა (დირექტორი — რ. ფავმიჩავა) დაამზადეს 148 ათასი მანეთის ნაწარმი. ეს თვიური სავალდებულო მოცულობის 19,9 პროცენტია, ხოლო 14 დღის დავალების მიხედვით — 45 პროცენტი.

* * *

სოხუმის ხელსაწყოთსაშენებელი ქარხნის კოლექტივმა (დირექტორი — ა. მეჭაძე) გამოუშვა 184 ათასი მანეთის საქონელი — თვიური სავალდებულო მოცულობის 23,7 პროცენტი, ხოლო 14 დღის მაჩვენებელთან შედარებით 53,4 პროცენტი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ წელს 15 დეკემბერს 85 წლისა უეცრად გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის გმირი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის წევრი

დავითი ვასილის ძე ჯაბიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საბჭოთა კავშირის გმირის დ. ვ. ჯანიბეკის დაკრძალვის ორგანიზაციისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შექმნა კომისია, რომლის შემადგენლობაში არიან დ. ი. ჩხეიკიშვილი (თავმჯდომარე), ე. ი. გაგუა, ო. ი. ეჯიბაძე, გ. ა. ლორთქიფანიძე, ჯ. ვ. მარგველაძე, ვ. მ. ოკუჯავა, ლ. ლ. შარაშენიძე, ნ. ი. შმიგოლი, გ. შ. ჯანიკაშვილი.

დ. ვ. ჯანიბეკ დაიკრძალება საბურთალოს სასოგადო მოედანზე. დ. ვ. ჯანიბეკ დაკრძალულ ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

ჩაქვი—მრავალეროვანი

ყოველივე მშობიურს, საყვარელს, ახლობელსა და სამშობლოს საბჭოთა ადამიანები ოქტომბრის დიდი ბელადის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახელს ანიჭებდნენ და ანიჭებენ. ეს სახელი ხომ ახლის, სიკეთისა და შრომის, მოყვასის სიყვარულისა და უკეთესი მერმისისათვის ბრძოლის სიმბოლოა. უთუოდ ამიტომაც მიიჩნიე ჩაქველებმა მართებულად, რომ იტყვიან ეს ზედმიწევნით მისადაგებული სახელი შეერქმოთ თავიანთი ისინი იყო ფეხადგმული საბჭოთა მეურნეობისათვის. ეს იყო 1925 წელს, ლენინის გარდაცვალების წლისთავზე.

ლენინის სახელის მინიშვნას უპირველეს ყოვლისა ისიც ამაროლებდა, რომ თითქმის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის თანატოლი — 1921 წელს დაარსებული ჩაქვის საბჭოთა მეურნეობა, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, მთელ ჩვენს დიდ სამშობლოში ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების დარგვის, დამკვიდრებისა და განვითარების პიონერი გახლდათ.

თუ როგორ იზარდა ეს პიონერი და გახდა ჭეშმარიტი დიდი, დიდებული ქვეყნის საბჭოთა ჩაისა და სუბტროპიკების ჩვენს ქვეყანაში, კარგად იციან თაობებმა, მასზე მთელი ისტორიაა შექმნილი.

რეგოლუციამდელ საოფლისწყლო ორკუტკარიანი საცდელი მამეულიან დღეკვლიან ათასჰექტარიან ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა მძლავრ, აყვავებულ, ედემის ბაღად ქცეულ საბჭოთა მეურნეობამდე — ეს საბჭოთა ჩაქვის გმირული, შემოქმედებითს შრომით გაელილი გზა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიზატორმა მეუღლეებმა ტატიანა გონჩაროვამ და ალექსანდრე გოგილაშვილმა; შრომის ფრონტზე წინ გავიდა მეუღლეთა —ფურსოვ გორგოლაძისა და ანასტასია კაშკას ბრიგადა.

განსაკუთრებული ინთუზიაზმით ეგებებიან სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის იუბილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბერსა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ერთობლივ სხდომაზე. შეერთებული შტატებიდან ჩაის ეზოში ჩამოსულ მოყვასის სოციალისტური შრომის გმირის მაღალ წოდებას იმსახურებს. ხანდაზმულობის მიუხედავად იგი დღესაც შრომის წინა ხაზზეა — მან სეზონში 5 ათასი კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფა.

ამ სახელი გითქვა მექანიზატორმა სერანუშ გოლიან-ვაშაძემ, მას ხელის საკრეფი აპარატით დიდძალი ჩაის მწვანე ფოთოლი აქვს მოკრეფილი. შრომით სახელი გითქვეს სხვა „ინტერნაციონალურმა ოჯახებმაც“ —მეანგარიშეებმა ალექსანდრა ბოლოთაშვილმა, ანა ბოლოთაშვილმა, ანა ბოლოთაშვილმა, ან

სამეცნიერო პრაქტიკულ კონფერენციაზე

საბჭოთა ხალხი, მონინავე კაცობრიობა ზეიმით ეგებება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 60 წლისთავს. დღესასწაულის დღეებში ქართველი კაცი სიამაყის გრძნობით გადაავლებს თვალს საბჭოთა დიდ ოჯახში გაერთიანებული ქართველი ერის გმირული ბრძოლისა და შემოქმედებითი შრომის ისტორიულ გზას, ჩვენს წარსულს, ჩვენს აწმყოს, მზერას მიაპყრობს მომავალს, გაიხსენებს, რანი ვიყავით და რანი გავხდით, გაიაზრებს, რანი ვიქნებით.

წინამდებარე სტატია ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების ისტორიის რამდენიმე საკვანძო საკითხის მოკლე, ესკიზური მონახაზია რუსეთთან საქართველოს შეერთების დროიდან.

3. ი. ლენინმა ერებისა და ერთა ერთიერთობის წარმოშობის და განვითარების საერთო კანონზომიერება და მისი გამოვლენების მრავალგვარობა ასე გამოთქვა: „სხვადასხვა ერი ერთიანი ისტორიული გზით მიდის. მაგრამ მეტისმეტად სხვადასხვაგვარი ზიგზაგებითა და ბილიკებით“.

ქართველი ერის წარმოშობისა და განვითარების ისტორია ამის მკაფიო მაგალითია. ძველი იყო გზა, რომლითაც ქართველ ხალხს უხდებოდა წინსვლა. გაუკვალავი, ზეაღმავალი, ზიგზაგზიერი ბილიკებით მიეჩართებოდა იგი. მან ყოველგვარ განსაცდელს გადუძლო, დაეცხრომელი ბრძოლითა და შრომით დაიცვა თავისი არსებობა და დამოუკიდებლობა, შეინარჩუნა ეროვნული ვინაობა და თვითმყოფობა და თავისი წელილი შეიტანა მსოფლიო კულტურის საგანძურში.

„ამაში სასიკეთო როლი შეასრულა რუსეთთან საქართველოს ნებაყოფლობითმა შეერთებამაც, დიდ რუს ხალხთან მეგობრობამ, საუკუნეთა მანძილზე რომ ღრმავდებოდა“ (ლ. ი. ბრეჟნევი).

ამიტომ იყო, რომ ქართველი ხალხს მიერ დიდ რუს ხალხთან კავშირის ძიება, მის მფარველობაში შესვლა და მასთან შეერთების მისწრაფება ვერ გასტეხა შაჰის სპარსეთისა და სულთანის თურქეთის გაფფრობამ. ვერ შეარყია იმედი მისი ვერც მეფის რუსეთის ცარისტული ზეადაფენის დინასტიურმა პოლიტიკამ. რუსი და ქართველი ხალხების კავშირი და მეგობრობა ერთობლივ ბრძოლაში განმტკიცდა და გამოიწრთო. ცხოვრებამ დაადასტურა მისი ცხოველმყოფელობა, მისი ძალა და უძლეველობა.

ე. ა. შევარდნაძემ რუსეთთან საქართველოს შეერთების საკითხი ისტორიული პერსპექტივის, საზოგადოებრივი შედეგების თვალთახედვით განიხილა და ცხადყო, რომ გეოგრაფიკის ტრაქტატი, რომელიც რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობისა და ძმობის პირველი მანიფესტი იყო, ზოლო შემდეგ რუსეთთან საქართველოს შეერთება, რაც რუსი და ქართველი ხალხების დამოყვრებისა და ისტორიის საბრძოლო ერთად გამოცელას მოსაწყვებდა, შემზარავნების პუნქტი გახდა ქართველი ხალხის ისტორიაში. ამან საქართველო გადაარჩინა ფიზიკური და სულიერი გადაშენების საფრთხეს, დააყენა აღორძინების გზაზე და „განაპირობა საქართველოს ჩაბმა იმ დიდ სოციალურ-ისტორიულ პროცესში, რომელსაც 1917 წლის ოქტომბერი, კაცობრიობის ისტორიაში პირველი სოციალისტური რევოლუცია მოჰყვა, ხოლო სსრ კავშირის დაბადება დიდი ოქტომბრის გამარჯვების შედეგია“.

ლენინმა ალმაინინა ორი პროგრესული ტენდენცია ეროვნულ საკითხში და გვიჩვენა მისი დიალექტიკა მეფის რუსეთის მრავალეროვან სახელმწიფოში. მას მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვს.

ლენინურ მეთოდოლოგიურ ასპექტზე ყურადღებას გამახვილება სპეციალურ ზდეგი, რათა ისტორიულ მეცნიერებაში ფეხი არ მოიკიდოს ემოციურ-სუბიექტივისტურმა მიდგომამ, ცრუპატრიოტულმა მოტივაციამ და მეცნიერულ-პატრიოტული პოზიციებიდან დავინახოთ, რომ ჩვენს წინაპრთა რუსეთზე ორიენტაციის ეტაპს ქვეშ დაყენება მიუტევებელი შეცდომაა, რომელიც თავისი მასშტაბით და შედეგებით ერის ინტერესების ღალატის დარია.

მეფის რუსეთმა, რუსეთის კაპიტალიზმმა ზოლო მოუღო საქართველოს ფეოდალურ დაქუცმაცებას, მოახდინა მისი გაერთიანება ეკონომიკურად მოლიან ერად და ჩაითვია იგი „საკონლი მსოფლიო ბრუნვაში“. ცარისტულმა რუსეთმა ქვეყანა ევროპიზაციის, ბურჟუაზიული ცივილიზაციის გზაზე გამოიყვანა. ამით იგი ახალი ცხოვრების მატერიალურ წანამძღვრებს ამზადებდა საქართველოში. მაგრამ ეს პროგრესული ტენდენცია ძალმომრეობის რეაქციული ფორმით ხორციელდებოდა. ეს წარმოშობდა მის წინააღმდეგ ბრძოლის პროგრესულ ტენდენციას, მოწონაევ ქართველი ინტელიგენცია ეროვნულ ცნობიერებას აყალიბებდა, ეროვნულ კონსოლიდაციას ემსახურებოდა და ახალი ცხოვრების სულიერ პირობებს ამზადებდა საქართველოში.

განმათავისუფლებელი მოძრაობა ჩვენში საერთო-სარუსეთო განმათავისუფლებელი მოძრაობის შემადგენელ ნაწილად ქმნიდა და განვითარების კეთილ-ბოვნებას, მეთოთეი კლასის ცალოლებს შესაბამისად იცავლებოდა მისი ეტაპები და ხასიათი, რა თქმა უნდა, ქართულ ეროვნულ-სპეციფიკურ პირობაში თავისებურად გარდატეხილი.

განმათავისუფლებელი მოძრაობა გამოვლინდა როგორც ქართული თავადაზნაურული ეროვნული მოძრაობა. მან განვითარების რთული, წინააღმდეგობრივი გზა განვლო. თავადაზნაურული პერიოდის ეროვნულ მოძრაობას არსებითად დასაბამი მისცა 1832 წლის შეთქმულთა ფეოდალურ-მონარქისტულმა ნაციონალიზმმა, იგი რეალიფურად გამოხატა ალ. ჭავჭავაძემ „ნინა“.

გრ. ორბელიანის შემოქმედება ქართველი ხალხის ეროვნული ცნობიერების შემოქმედების ემსახურებოდა, იმათ პასუხად, რომლებიც ამბობდნენ გრ. ორბელიანის დამსახურება სიტყვაა და არა საქმეო, ილიამ სამართლიანად თქვა: „მისი სიტყვაც თითონ საქმეაო.“ აკაკის შეფასებით კი „გრ. ორბელიანი იყო კავშირი ძველსა და ახალს თაობას შორის, სხვადასხვა დგმის შემაერთებელი ხიდი“.

ჭავჭავაძეს ეროვნულ-დემოკრატიული დასის პროგრამა ორი ძირითადი ნიშნით ასე განსაზღვრა: „ჩვენი დაცემულ-ვინაობის“ აღდგენა და დაცვა მშრომელი გლეხობისა, რომელიც „სული და გული“ ჩვენი ეროვნული იმედისა.“ მან სიტყვა „მამული“ მთელი თავისი დიდებული მნიშვნელობით გამოაბრწყინა, მოფინა მთელ საქართველოს და „ბინა დაუდო ქართველთა გულში.“ მან წინამორბედი ქართული პოეზიისაგან განსხვავებით, რომლის საგანი „დიდაკაცობის გულისთქმა“ იყო, თავისი გულისყური მიაპყრო უხეგზო ყოფას მუშაკაცისა, „ბეჭხარა ქართველთა გული მწეავს სურათებთა.“

ილია 1905 წლის მარტში წერილში „ივერიის“ რედაქციის მიმართ წერდა, რომ მე ვთქვი და კიდევ ვიტყვიო: „ლეგზაკცს „საქმაო მიწა-წყალი“ უნდა მიეცეს, ხოლო ქართველ კაცს უფლება და გრ. ორბელიანის თავადაზნაურულმა პატრიოტზმმა და დაადგენინა 6. ბარათაშვილის რეფოლუციურმა რომანტიზმმა.

1832 წლის შეთქმულება უპირატესად სეპარატიზულ-დინასტიურ ხასიათს ატარებდა. იგი მიზნად ისახავდა შეთქმულთა შეიარაღებული გამოსვლით თავადაზნაურული რეფოლუციი განეხორციელებინა და ქართული სახელმწიფოებრიობა შეექმნა, რომელიც თავისი კლასობრივი არსით ფეოდალური არისტოკრატიის სახელმწიფო ბატონობა იქნებოდა.

ილია ჭავჭავაძე ეროვნული მოძრაობის წარმოშობას საქართველოში მე-19 საუკუნის მეორე მეოთხედში ქართველი ახალგაზრდობის „ბრწყინვალე წრის“ შექმნას უკავშირებდა და მის „თავმოსწონებელ“ დამსახურებად იმას მიიჩნევდა, რომ „ამ წრის წმინდათაწმინდა იყო საქართველოს სიყვარული, რომელმაც ბოლოს თავდებულ ტრფიალებამდე გიოწია მათდა სასაბეოლოდ“. ამან განაპირობა 1832 წლის შეთქმულების ისტორიული მნიშვნელობა „ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

განმათავისუფლებელი მოძრაობის თავადაზნაურული პიროიდის წინააღმდეგობრივი ხასიათის, მიმართულებისა და მნიშვნელობის მკაფიო გამოხატველია გრ. ორბელიანის შეთქმულება. იგი ატარებს განმანათლებლობის ტენდენციებს, ბოგაზო ხალხისადმი სიმპათიებს, მისდამი თანაგრძნობის, ფეოდალური სოციალიზმის ნიშნებს. გრ. ორბელიანი ეტრფის საქართველოს: „სხვა საქართველო სად არის, ლება, რომ თავისი ქვეყნისათვის კანონები მის მიერ არჩეული „წარამომადგენელთა კრებელისაგან“ იწერებოდეს. ეს იქნებოდა რუსეთის მრავალეროვან დემოკრატიულ სახელმწიფოში ქართველი ხალხის დემოკრატიული თვითმმართველობა თავისი ენთ, თავისი კულტურით, თავისი ყოფა-ცხოვრებით.

ქართველ სამოციანელებს კარგად ესმოდათ საქართველოს რუსეთთან ყავშირის სასიკეთო როლი და ცარისტული ჩაგრის წინააღმდეგ ბრძოლის დადებითი მნიშვნელობა ეროვნულობის დაცვისა და ხალხთა მეგობრობისათვის საერთო-სარუსეთო განმათავისუფლებელ მოძრაობაში. აკაკი წერეთელი ქართველთა იმ გუნდის მეთაურთა-განი იყო, რომელსაც თავის ცნებად აღიარებული ჰქონდა „რუსეთთან საქართველოს სიყვარული შეკავშირება და ოქროს ჯაჭვით და არა ჩინოვნიკური ბრეხილთ გადაბმა.“

ქართული განმანათლებლობა სოციალური და ეროვნული უსამართლოთა წინააღმდეგ ბრძოლაში იარაღად „სიტყვის და კალამს“ ხმარობდა და რეფოლუციურ-დემოკრატიულ პატრიოტზმსა და რეალურ ჰუმანიზმს თესავდა. ხალხს მომავალი ბრძოლებისათვის განაწყობდა.

იგი საზიზღრობად თვლიდა როგორც ზოვინიზმს, სამშობლოს „უკუღმართ სიყვარულს,“ თავის ბეფნიერებას სხვის უბედურებაზე რომ აშენებს, ისე უთვისტომო კოსმოპოლიტიზმს, ერის რეალობას რომ უარყოფს და ვითომდა კაცობრიობის სამსახურს ქადაგებს.

ქართველმა სამოციანელებმა ერისა და კაცობრიობის თანაფარდობის პრობლემის ღრმა გაგება მოგვიტეს. მათთვის სამშობლოს ბედნიერებისათვის ზრუნვა მსოფლიოს ხალხთა ბედნიერებისათვის ზრუნვას ნიშნავდა. „თავისი ქვეყნის სამსახურში მსოფლიო გამოიხატებაო“, თქვა აკაკიმ და განმარტა: სამშობლოს, ჩვენი ერის წარმატებას იმიტომ ვნატრობთ, რომ იგი საკეთილ ეღფერით მეიდროდ შეუკავშიროდეს „ფიროდოვან კაცობრიობას“. ამიტომ ითქვა, უფუოდ, რომ ქართული რეფოლუციური განმანათლებლობისათვის „უცხო იყო ეროვნული შეზღუდულობა და კარჩაკეტილობა, სეპარატიზმი. მისი პატრიოტული იდეები ჭეშმარიტად ინტერნაციონალური იდეები იყო. დემოკრატიული საქართველოსათვის ბრძოლა ნიშნავდა ადამიანისათვის, ხალხთა მეგობრობისათვის ბრძოლა“, და რომ „ქართველ სამოციანელთა მთელი მოღვაწეობა ობიექტურად უქმნიდა ნაყოფიერ ნიადაგს საქართველოში მარქსიზმის გავრცელებას“ (ე. შევარდნაძე).

90-იან წლებში განმათავისუფლებელი მოძრაობის პროლეტარული პერიოდი დაიწყო და მეცნიერული სოციალიზმი გავრცელდა საქართველოში. შეიქმნა ბელიანოვის „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის ქართული განშტოება. ჩამოყალიბდა პირველი სოციალ-დემოკრატიული ლიტერატურული-პოლიტიკური ჯგუფი — „მესამე დასი“. მან სთხოვე დაუდო საერთო-დემოკრატიული მოძრაობიდან პროლეტარულ-დემოკრატიულ ნაკადის გამოყოფასა და მის დამოუკიდებელ იდეურ მიმდინარეობად გადაქცევას. „მესამე დასის“ შექმნით დასაბამი მიეცა საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში მარქსისტული მიმდინარეობის ძლაგარ განვითარებას და გამარჯვებას“ (ე. შევარდნაძე).

„მესამე დასი“, ისე როგორც საერთოდ რუსეთის სოციალ-დემოკრატია, „მაშინ „იდეურად ერთიანი იყო“ „ახალი გზის“ არჩევასა და მოწონაადმდგეგ მიმდინარეობებთან იდეურ ბრძოლაში. რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში აზრთა სხვადასხვაობა მაშინ წარმოიშვა, როცა პრაქტიკულად დასცა საკითხი: არჩეულ გზაზე რა ვაკეთოთ და როგორ ვაკეთოთ?

„მე-19-მე-20 საუკუნეების მიჯნაზე საქართველოში, — წერს ე. შევარდნაძე, — განმტკიცდა მარქსისტულ-ლენინური საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა. მასში შედიოდნენ ადამიანები, რომლებიც არა მარტო თვითონ ბედნიერებას ღრმად მარქსიზმის განვითარების ახალი ეტაპის — ლენინიზმის თეორიითა და პრაქტიკით, არამედ... ლენინური „ისკრის“ მოწოდებით 1900-1903 წლებში აქტიურად ჩაებნენ ახალი ტიპის პროლეტარული პარტიის შექმნისათვის ბრძოლაში“.

საქართველოს სოციალ-დემოკრატია წარმოშობის დროდანვე ინტერნაციონალური ორგანიზაციული წყობით და ეროვნული საკითხის მარქსისტული გაგებით ხასიათდებოდა. იგი ყველა ეროვნების შუშაობა, მშრომელთა ერთიანობას ახორციელებდა და ვითარდებოდა ამტკიცებებოდა ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ქართველმა მარქსისტებმა გაარკვიეს ერისა და ენასის ადგილი, ეროვნული და კლასობრივი ინტერესების თანფარდობა საზოგადოებაში და პატრიოტიზმის მატარებელად ის სოციალური ძალა მიიჩნიეს, რომელიც საშობლოს თავისი სისხლით იცავს და მის „მთელ დოვლთს ქმნის.“ მათ განაცხადეს; ქართული სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა „ხელიხელ გადაბეეული უფლებისა და ამა თუ იმ მოქნტში ამა თუ იმ ერის გამოყოფის მიზანშეწონილობის თანაფარდობის ლენინური გაგების პოზიციებად ბალშეშქრეს ქართული მენშევიზმის წინააღმდეგ, რომელიც სეპარატიზმის გზას დაადგა და ეროვნული თვითგამორკვევის პრინციპის განხორციელებმ ბურჟუაზიულ საფუძველზე სცადა.

იმ დროს, როცა რუსეთში პრაქტიკულად ხორციელდებოდა ბურჟუაზიული დემოკრატიიდან პროლეტარულ დემოკრატიაზე გადასვლა, რეფოლუციური რუსეთიდან საქართველოს სახელმწიფოებრივი გამოყოფა და მისი უკვე ისტორიულად დრომოქმედი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული სახელმწიფოს ფარგლებით შეზღუდვა, მეფათა კლასის ინტერესების ღალატ ნიშნავდა.

ენგელეფერი რუსეთიდან გამოყოფილი მენშევიკური საქართველოს დამოუკიდებლობა მოჩვენებითი იყო. სინამდვილეში იგი იმპერიალიზმის პლაცდარმად იქცა.

საქართველო მოლიპულ გზაზე აღმოჩნდა. დრმა, გამოცდილებამ დაარწმუნა იგი, რომ მისი მომავალი, სხვა არჩევანის მოითხოვდა. „სამი ძნელი წელი გაატარეს საქართველოს მშრომელთა ისტორიული გზის გასაყარზე, სანამ ოქტომბრის წინთელი დროშა თბილისში აფრიალდებოდა“ (ე. შევარდნაძე)

1921 წლის თებერვლის რეფოლუციერმა ცდადტრიალებამ განაგრძო და დაადგინებინა ოქტომბრის რეფოლუცია საქართველოში. მან სოციალური თავისებურება და ეროვნული დამოუკიდებლობა მოუტანა ქართველ ხალხს და განამტკიცა რეფოლუციური რუსეთის მონაბეკი. ქართველი მშრომელი კაცი კომუნისტური ფორმაციის შემოქმედი გახდა.

„ისტორიაში პირველად მოხდა, რომ საქართველოს მშრომელთა კლასებმა შექმნეს თავიანთი სახელმწიფო, სახელმწიფო, რომელიც გამხატავს საქართველოს მთელი მშრომელი მოსახლეობის ნება-სურვილსა და ეროვნულ ინტერესებს, ნებას და ინტერესებს, მჭიდროდ და ორგანულად რომ ერწყმის საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკის მუშების, გლეხების, სახალხო ინტელიგენციის, პლანეტის ყველა მშრომელის კლასობრივ ინტერესებს“. (ე. შევარდნაძე).

რევოლუციური გარდაქმნის გზა, რომელსაც ქართველი ხალხი დაადგა, გაუკვლავი და უცნობი იყო, წამოჭრილი პრობლემები და დასახული ამოცანები რთული და ძნელი. მაგრამ პარტიასა და ხალხს ეს არ აშინებდა. ახალი საქართველოს წარმოქმნის სათავეებთან ლენინი იდგა. ლენინ ჩვენი მეკვლე იყო. მან ქართველ ხალხს გაანათლება გზა დაულიცა, გაუშუქა, გაუწყლდა და გაუკაფა იგი. ლენინი მეგობრული რჩევა-დარიგებებით, თუ ნაკლური პრინციპული კრიტიკით წარმართავდა ქართველი კომუნისტებს თეორიულ და პრაქტიკულ საქმიანობას.

ლენინმა 1921 წლის 2 მარტსა და 14 აპრილს წერილებში ქართველ კომუნისტებს გაესაზღვრა ახალი, საბჭოთა სოციალისტური საქართველოს მშენებლობის საერთო პროგრამა და კონკრეტული გეგმა, სტრატეგიული ამოცანა და ტაქტიკური ხაზი. იგი საბჭოთა კავშირში სოციალიზმის მშენებლობის ლენინური თეორიისა და გეგმის შემადგენელ ნაწილს ქმნიდა.

ეროვნულ საკითხს, დიდი პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ვითარებას საქართველოსა და ამიერკავკასიაში ჰქონდა. ეროვნული საკითხი ამოცანა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა მოჰქონდა ეროვნული ინტერესების ღალატ ნიშნავდა.

„საქართველოს საკითხს“ გამო შინაპარტიული დავაში გამოიხატა პარტიაში იმ დროს გაჩაღებული დისკუსია „საეროვნებათშორისო სახელმწიფოებრივი ფორმის არჩევის თაობაზე. უნდა გამონახულიყო საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ისეთი სახელმწიფოებრივი ფორმა, რომელიც ოპტიმალურად უზრუნველყოფდა მათი ერთიანობისა და დამოუკიდებლობის სწორ თანაფარდობას ერთიან საკავშირო მრავალეროვან სახელმწიფოში.

